დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი №2

20 ივლისი 2010 წელი ქ.დმანისი

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს ბიუროს 7 წევრი.

1. ბაკურ მგელაძე.
2. კამირან მუსაევი.
3. ომარ ჭელიძე.
4. ზურაბ აკოფაშვილი.
5. დავით დაუთაშვილი.
6. ჰამლეტ ბერუაშვილი.
7. ნოდარ ადუაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე: **ბაკურ მგელაძე**

დღის წესრიგი:

საკრებულოს მომდევნო სხდომის დღისწესრიგის დადგენა და ქ. დმანისის 9 აპრილის ქუჩისა და შესახვევის ასფალტირების, ტროტუარების რემონტისა და მიწების კომუნიკაციების რეაბილიტაციის პროექტის საზედამხედველო დროებითი სამუშაო ჯგუფის დებულების დამტკიცება.

1. **მისმინეს:** საკრებულოს თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა 2010 წლის 26 ივლისს დაგეგმილი საკრებულოს სხდომის დღისწესრიგი.

გადაწყვიტეს: 2010 წლის 26 ივლისს დაგეგმილ საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანილი იქნას შემდეგი საკითხები:

1. დმანისის მუნიციპალიტეტის 2010 წლის სახელმწიფო და ადგილობრივ შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ მომხსენებელი თ.ტატულაშვილი.
2. დმანისის მუნიციპლიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასების შესახებ, მომხსენებელი ო.ჭელიძე.

2. **მოისმინეს:** ზურაბ აკოფაშვილმა ბიუროს წევრებს წარუდგინა ქ. დმანისის 9 აპრილის ქუჩისა და შესახვევის ასფალტირების, ტროტუარების რემონტისა და მიწების კომუნიკაციების რეაბილიტაციის პროექტის საზედამხედველო დროებითი სამუშაო ჯგუფის დებულება.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ქ. დმანისის 9 აპრილის ქუჩისა და შესახვევის ასფალტირების, ტროტუარების რემონტისა და მიწების კომუნიკაციების რეაბილიტაციის პროექტის საზედამხედველო დროებითი სამუშაო ჯგუფის დებულება დანართი №1.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბაკურ მგელაძე**

დანართი №1
დამტკიცებულია დმანისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს მიერ 2010 წლის 20 ივლისის
გადაწყვეტილებით

ქ. დმანისის 9 აპრილის ქუჩისა და შესახვევის ასფალტირების, ტროტუარების რემონტისა და მიწების კომუნიკაციების რეაბილიტაციის პროექტის საზედამხედველო დროებითი სამუშაო ჯგუფის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ეს დებულება საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" მუხლი 29 და საკრებულოს 2010 წლის 23 ივნისის №3-17 განკარგულების შესაბამისად განსაზღვრავს დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილებას და საქმიანობის წესს.

მუხლი 1.
დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილება.
1. განახორციელოს ზედამხედველობა ქ. დმანისის 9 აპრილის ქუჩისა და შესახვევის ასფალტირების, ტროტუარების რემონტისა და მიწისქვეშა კომუნიკაციების რეაბილიტაციის სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდული (საჭიროების მიხედვით) შემოწმება პროექტის მოთხოვნილებების შესაბამისობასთან შედარებისა და შემოწმების გზით, სამუშაოების შესრულების ხარისხის გათვალისწინებით.
2. დროებითმა სამუშაო ჯგუფმა მუნიციპალური განვითარების ფონდთან ერთად უნდა შეამოწმოს და დაადასტუროს შესრულებული სამუშაოთა მოცულობა, რომელსაც წარმოადგენს ქვეპროექტის ფარგლებში შერჩეული კონტაქტორი.

მუხლი 2.
დროებითი სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ძირითადი პრინციპი.

1. საჯაროობა, რისთვისაც სამუშაო ჯგუფი ვალდებულია სამუშაო ჯგუფის მუშაობაში და საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიაღებინოს ნებისმიერ მსურველს.
2. ანგარიშვალდებულება საკრებულოს წინაშე.

მუხლი 3.
დროებითი სამუშაო ჯგუფის საქმიანობის წესი.

1. სამუშაო ჯგუფი ახდენს პერიოდული შემოწმების მასალების აქტირებას.
2. სამუშაო ჯგუფის სხდომები ტარდება საჭიროების შემთხვევაში კვირაში ერთხელ, სადაც განიხილება შემოწმების მასალები.
3. აუცილებლობის შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით მზადდება წერილი მუნიციპალური განვითარების ფონდის სახელზე დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.